

კარი ერთოსტელი

კოლხეთი
ფსალმენი

100-ტომეული



გამომცემლობა „კნივერსალი“
თბილისი 2020

საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლება-საქართველო“

საქართველოს მროველი აკადემია

კუნძული ქართველი



კოლეგი ფსალმუნები

0169 ულეათა კრებული
100 ტობად


2020



საქართველოს მწერალთა, მეცნიერთა და
საზოგადო მოღვაწეთა საერთაშორისო აკადემია
„ეპლიუს-საქართველო“

საქართველოს ეროვნული აკადემია

კუკა ეჭილელი



კოლეური
ფსალმუნები

ტომი 98

2020



მთ. რედაქტორი

ზურაბ ჭუმბურიძე

ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი, საქარ-
თველოს მწერალთა, მეცნიერთა
და საზოგადო მოღვაწეთა
საერთაშორისო აკადემია
„ქალდეა-საქართველოს“
აკადემიკოსი

© ვაჟა ეგრისელი, 2020

გამომცემლობა „ენივერსალი“, 2020

თბილისი, 0186, ა. პოლიტიკური №4, თე: 5(99) 33 52 02, 5(99) 17 22 30
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-26-572-3 (ყველა ტომისთვის)

ISBN 978-9941-26-905-9 (98 ტომი)



* * *

გაშა ებრისელი დაიგადა ხობის რაიონის სოფელ ხორგაში. განათლებით იურისტი და ინიციერია. 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის მასიმ გორგის სახელობის მსოფლიო ლიტერატურის ინსტუტი. ორმოცამდე ზოგნის აპტორია. თარგმნილი და ცალკე ზოგნებად აქვს გამოცემული საზღვარგარეთის ძველების მომცემის მიერ ანთოლოგია – „ოქროს მტკვანი“, ალექსანდრა სტირლინგ-კოზლოვას მოწოდებულია – „ბრიუსოველი – ალიო მაშავილი“, ვერდორ ტიუჩხევის ლექსები და სხვა.

1993 წელს გამოვიდა კოეფის ათასგვერდიანი, ორი ათასამდე ლექსის მოცემილი გრიფოვებული – „იმპენ ნაიობლი“ ხოლო 2002 წელს საქართველოს რესაუგლიკის გამოცემის „მოლოდინის“ გამოსცემის ვაჟა ებრისელის „კოლხური შასლაუების“-ს ხუთომეტელის ათასზე მეტ გვერდიანი პირებით ფომი, რომელმაც ორიათასზე გაუთი კოეფილი მშნილება იყო დაეჭირილი. 2006, 2007, 2008 წლებში გამოვიდა კოეფის მეორე, მესამე, მეორეს ათას-ათას გვერდიანი ტომეულები, ხოლო 2011 წელს დაიგეჭდა კოეფის მესამე, 1575 გვერდიანი ტომი, რომელმაც 2500-ზე მეტი ლექსია დასტაბეჭდილი.

გაშა ებრისელის შემოქმედებაზე ორმოცამდე მოწოდრაზია დაწერილი და ცალკე ზოგნებად გამოცემული.

გაშა ებრისელი საქართველოს და მოცემის რამდენიმე მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრია... 2016 წლიდან საქართველოს მეცნიერთა, მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ზ და საქართველოს ეროვნულია აკადემია დაიწყეს ქართული კოეფის რაინდის, საქართველოს მეცნიერთა აკადემიის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონ ტაბიძის არმიების ლაურეატის, ღირსების ორდენის კავალერის, ქართული კულტურის ღმაცანის მედლისა და „დიონსკურია 2005“-ის, მჯგიდობის მქროს ვარსკვლავისა და მჯგიდობის ღრმენის მფლობელის, სახალხო კოეფის, საქართველოს მეცნიერთა მეცნიერთა და საზოგადო მოწვავეთა საერთაშორისო აკადემია „ქალღეა-საქართველო“-ს კონფერენციის, საქართველოს ეროვნული და ვაზისის საერთა-სამცნეომრო კაპადემიის ვიცე-კონფერენციის,



ავხანეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი-აკადემიკოსის, საქართველოს განათლებისა და სამართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობებითა“ „ვარძის“, „აიას“ აკადემიკის ნადვილი წევრის, ჩატბლის, უზბღილის, ხობის, იყალთოს სა-აატიო მოქალაქის, ათას-ათას ხუთასხე მეტბვერდიანი ტო-მეუღების „კოლეჯი შასლაშვების“ (ოცდაათიათასხე მეტი ლექსი) აპტორის – ვაჟა უბრისების ახალი, ოჩული „კოლეჯ-რი შასლაშვების“ (ოცდაათომობულის გამოცემა. გამომცემ-ლობა „უნივერსალმა“ გამოსცა კოექტის ხუთასხე მეტბვერდი-ანი, უბადლეს კოლიბრაფიულ ღონისე შესრულებული ტომები. 2019 წლის მიზრულს გამოვიდა „კოლეჯი შასლაშვების“-ს 100-ტომეულის პირველი ათი ტომი. დანარჩენა 90 ტომია (უკლებლივ) მზის სინათლე იხილა 2020 წელს. გამსაღებულია დასახურდად ვაჟა უბრისების კლასისური კოექტის ათომობუ-ლი, აბრეტვე, კოექტისადმი მიძღვნილი ქართველი და უცხოე-ლი კოექტების, მეცნიერებისა და სახოგადო მოღვაწეების (ათასამდე აპტორი) წიგნების (მონოგრაფიების), სტატიების, წერილებისა და ლექსების ოცნებებული და სხვ.

2020 წლის 16 ოქტომბერს გაიგაროა ვაზისის (კოლე-ტის) საერო-სამეცნიერო აკადემიის საერთო კრება, რომელ-მაც პრეზიდენტის ვაკანტურ ადგილზე და კანკისყრით ერთ-ხეად აირჩია აგავე კადემიის 30ხვ-კარეზილენტი, ცხობილი კოექტი, ქართული კოექტის რაინდი, ქართული კულტურის დესანტი, „კოლეჯი შასლაშვების“ 100-ტომეულის აპტორი, იურიდიულ მეცნიერებათა საპატიო დოკტორი, აროვესორი ვაჟა უბრისები.

გახ. „საქართველოს რესპუბლიკა“,
2020 წლის 22 ოქტომბერი

კყავს მეუღლე – გილდა სეხიშვილი (მოერალი) და ორი ვაქიტვილი ზრუბაბი და დაჩი (ორივა იურისტი) და სამი მვი-ლიშვილი – ვაჟა, ნატა და ლილე. იგი – მეცხევ შვილია (შვილი ქმა და ორი და).





პოეტის ასტომული „კოსმიური პოეზია“

ვაშა ებრისელის შესახებ დიდი ხნის ფინაც ვწერდი: „რქს-თველს აკაპის და ბალაპტიონს, ღმირთი არ მიწვის რომ შება-დარო. ბავხარ ზღვის ღმლვას და ნაზ სირსაც, რომ აზანზარებს ჩემად სამყაროს...“

ამჟამად, როცა პოეტის ზდაპრული კოსმიური „შალმუნე-ბის“ ჯერ არნახული, ჯერ არ გაგონილი, ხუთასუმ, ათასებ, ათას ხუთასუმ მიტგვერდიანი „პაჭაღლო“, ოქროს ყდაში ჩასული, ოცდათოტომეული ზავითხევი, ჩემი ძველი აზრი რადიკალურად უარვდავი და... დღეს ქვეყნის ბასაბონად ხბამაღლა ვაცხადებ: ვა-შა მცირებული არც რუსთაველს, არც აკაპის, არც ბალაპტიონს და... არც მსოფლიოს, არც ძველსა და არც თანამედროვე კოეცს არა ჰპაპს...“

ის კრეისტურიული კოლხეთის „შუტაია“, არმის ჰალაში მდგა-რი მუხაა, რომელსაც ოქროს სამზისი ეკიდა (რომელიც გერმენმა პი არა, ჰელაზგა იაზონება მედვასთან ერთად რომ გაიტაცა).

დიახ, კოლხეთის მითიური ხელმოწის, აიეტის ხელი დარ-ბელი, ის ურნეულ მოდარაჯე მუხაა, რომლის ცადავადილ ტო-ტეპავე, კოეჭმა ოქროს საღმისის „ბონის“ მაბიერ თავისი „კოლ-ხერი შალმუნების“ იგავითვალებრივი ასტომული დაკიდა და ბააცოცხლა, მიძინებული, დავიუყვის ნაცარიმიყრილი, არა მარ-ტო კოლხეთის, არამედ მიღროინდებლი სამყაროს ოცდათოთხმე-ტებ მეტ საუკუნევანი მითებით, ლეგენდებითა და საოცენებით დახუნდული ისტორია, რაც კომერციიდან მოყოლებული (ძვ. წ. აღ. VIII საუკუნე) არც ერთი ქვეყნის, არც ერთ კალმოსანს არ გაუკითხავა.

100-ტომეული... ქვეყნის განენის დღიდან, XXI საუკუნის რის-რაქამდე, ასეთი (5-6 სტრიქონიანი) ფილოსოფიური, რელიგიური, მითოლოგიური, ყოვლისმოცველი კოეზია, ჯერ-ჯერობით არავის შეუძლია დედამიწაზე...


კოსმოსში კი...

დაგრდოს:

„აიეტის ზდაპრულ კოლხეთის, მტრობისა და სიძულვილის გვე-ლუშაპი მისწოდია... მათ იციან იქ იღვება დედამიწის ისტორია“.

გულახ ხარაიზვილი

კოეჭი, ბალაპტიონ ტაგიძის არევის დაურიატი,
ჯემბერ ლეხაგას სახელობის მეცნიერებათა
სამრთაშორისო აკადემიის არმზილენტი





„გულივად შეხვდი ყოველ ძმას, ყოველ ძაბულას.“

ა. პუშკინი

შინასიტყვაობის მაბირ

(გაგრძელება)

ყოველივე ამას მე ერთ გადამწყვეტ ფაქტორსაც დავუმატებდი, ურომლისოდაც არც შემოქმედებითი აქტივობა ჩაისახება და არც შემოქმედებითი პროცესი წარიმართება. ეს ფაქტორია ნიჭი, ტალანტი, ღვთით მონიჭებული მადლი.

უპირველეს ყოვლისა, გული უნდა ჰქონდეს შემოქმედს ღვთიური! ისე არა ფაქტორი რამ უშველის, არა რა წვრთნა გახდის შემოქმედად. მოსე ხონელია-მას ასე გვაუწებს ამბრი არაბის აღმზრდელის აბუ-ტარის პირით: „ააცობრივი საქმე ყველა კარგა მოვავლინო, გული კი ღმერთმან მისცეს. თუ გული არა უც, არას ერგების“.

სწორედ ამ ნიჭით, ტალანტით, ღვთით მონიჭებული გულითა და მადლით არის დაჯილდოებული პოეტი ვაჟა ეგრისელი და, უპირველეს ყოვლისა, ესაა მისი შემოქმედებითი წარმატებების წყარო.

მივუბრუნდეთ მეორე კითხვას, – რატომ მიუჯდა პოეტი საწერ მაგიდას, ლექსი უნდა მოიფიქროს და დაწეროს თუ ლექსი უკვე მოფიქრებული და და-



წერილი აქვს და ქაღალდზე უნდა გადაიტანოს? ანუ
თვით საგანი აწუხებს პოეტს თუ საგანი წიგნში?

აქ შემოქმედებითი პროცესის მოტივაციასთან
გვაქვს საქმე: გარეგანი მოტივი ამოძრავებს შემოქ-
მედს თუ შინაგანი?

გარეგანი და შინაგანი მოტივი ყველა ადამია-
ნის მოქმედებაში შეიძლება დავინახოთ. მოწაფე გაკ-
ვეთილს თუ იმისათვის სწავლობს, რომ მამამ შეა-
ქოს და მასწავლებელმა ფრიადი დაუწეროს, მეჩექმე
კარგ ჩექმას თუ იმიტომ კერაქს, რომ უფრო ძირად
გაყიდოს; თუ პოეტი კარგ ლექსს იმიტომ წერს, რომ
მკითხველის ქება დაიმსახუროს, მათ მოქმედებებს
გარეგანი მოტივი ამოძრავებს. ასეთი მოწაფე კარგი
მოსწავლე ვერ იქნება, ასეთი მეჩექმე კარგ ჩექმას
ვერ შეაკრავს, ასეთი პოეტი კარგ ლექსს ვერასოდეს
ვერ დაწერს.

პოეტს საგანი უნდა აინტერესებდეს და არა სა-
განი წიგნში? აი, მაშინ დაწერს იგი კარგ ლექსს.
პოეტი საწერ მაგიდას იმიტომ კი არ უნდა მიუჯდეს,
რომ ლექსი მოიფიქროს, არამედ იმიტომ, რომმ უკვე
მოფიქრებული უავე დაწერილი ლექსი გადაიტანოს
ქაღალდზე, დაახლოებით ისევე, როგორც არქიტექ-
ტორი სახლს ჯერ თავში აშენებს და შემდეგ – მო-
წაზე.

ვისაც თავად საგანი, მოვლენა აწუხებს და არა
საგანი და მოვლენა წიგნში, – აი, ის ქმნის ნამდვილ
ლიტერატურას.



განვუდგეთ ამჯერა თეორიულ მოსაზრებებს და
წავიკითხოთ ვაჟა ეგრისელის ლექსები:

პატარა ქუჩა

არავინ არ ჩანს...

ნაცემ ლეპვივით
წკმუტუნებს ბნელში
პატარა ქუჩა.
ყველა ეზო-კარს ადევს ზამთრის
თეორი ურდელი...
სიცივეს ფანქრით შეუღებავს
თვალები
ლურჯად,
ცას
თოვლით სახე აქვს გაპუდრული.

კახეთი

დახლართულია ქვევრთა ფესვებით...
მღვრიე წარსულს და
მოკამპამე
ლვინოს ჩახედეთ, –
როგორ ციმციმებს ეს დალოცებილი.
მზის დიდ სარკეში იყურება
ჩემი კახეთი, –
გაზებით სახედაკოცნილი.



თავად ვაჟა ეგრისელისაგან გამიგონია, მე ჯერ
ლექსს ვწერ ფიქრში და ქაღალდზე მერმე გადამაქ-
ესო.

როგორ არ ვენდოთ ამ სიტყვებს, როცა მის
ისეთ ლექსებს ვკითხულობთ, რომელთაგან ორი აი,
ახლა წავიკითხეთ

ეს არის ნამდვილი პოეზია!

ეს არის ნოვატორობა პოეზიაში!

ასეთი საკმაოდ ვრცელი შესავალი, ჩემო საყვა-
რელო მკითხველო, მე პოეტ ილია კვაკაზაგის წე-
რილს წარვუმდღვარე, რომელიც ვაჟა ეგრისელისად-
მია მიძღვნილი, რომელსაც „შარბათივით ტკბილი
და მათრობელა პოეზია“ ჰქვია და რომლიდანაც საკ-
მაოდ გაბედული შეფასებები და დასკვნები მკით-
ხველს გაზიადებულად არ მოეჩვენოს.

პირადად მე ბატონ ილია კავკაზაგის მოსაზრე-
ბებს მთლიანად ვიზიარებ.

აი, ეს მოსაზრებები:

„არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ თანამედროვე
პოეზიაში არ მეგულება ვაჟა ეგრისელის ტოლი პოე-
ტი, რომელსაც შეეძლოს ასე ღრმად და ყოვლისმომ-
ცველად გადაგვიშალოს თავისი უმდიდრესი სულიე-
რი სამყარო...“

მიუხედავად იმისა, რომ მისი პოეზია ფორმით
ძირითადად მინიატურულია, იდეით და შინაარსით
დიდ აზრს იტევს, – თითქოს პოემა ან ბალადა წაგე-
კითხოს...



ქართულ მაღალფრონისან კლასიკურ პოეზიას ევალება განაგრძოს თავისი დიდი ტრადიციები. ამ ძნელ, მაგრამ საკაცობრიო მნიშვნელობის როლის შესრულებას შესძლებს ვაჟა ეგრისელი, რომელსაც ამისათვის აქვს ყველა მონაცემი...

ასეთი ყველასაგან და ყველაფრით განსხვავებული, უმაღლეს რეგისრში აყვანილი ლექსები (არა ერთეულობით, არამედ ასეულობით და ათასაეულობით) არა აქვს არცერთ თანამედროვე პოეტს გამოქვეყნებული...

ვაჟა ეგრისელის პოეზია მიმაჩნია მსოფლიო თანამედროვე ლიტერატურის შენაძენად“.

ჭეშმარიტი ხელოვანი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა ჭეშმარიტი კომპეტენტური კეთილი მოსაქმე არ ეძებს და ვერც ითმენს ქებას, ჯილდოებს, ზიზილ-პიპილებს. არც ვაჟა ეგრისელს უძებნია ასეთი რამ. სახელგანთქმული ლიტერატურული კრიტიკოსები, ხელისუფლების მესვეურები, რომლებიც სულ ახლასან ყოველ გზაჯვარედინზე გაჰყვირდნენ, საქართველოში პოეზიის რენესანსიაო, ამ რენესანსის შემომტანთა გვირგვინებს ადგამდნენ არა ვაჟა ეგრისელს, არამედ სულ სხვებს, რომლებსაც ათასნარ მედლებს, ორდენებსა და პრემიებს ურიგებდნენ. ვაი, რომ მათში ერთი პაოლო იაშვილი არ გამოერია, რომ ეთქვა „ჩვენ თვით დავამსხვრევთ ჩვენს თავზე მოელვარე გვირგვინებს, როდესაც ვიხილავთ, რომ პირველი ნაპერწკალი ჩვენი კოცონისა მოკვდა სამუ-



დამოდ... როდესაც დავინახავთ, რომ სხვა მაღლობზე
გაიხარა განახლების კოცონმა“.

განახლების კოცონი მართლაც ხარობდა იმ
მოგონილი „რენესანსის“ პერიოდში „სხვა მაღლობ-
ზე“, მაგრამ რომელმა ჯილდოსანმა ჩინოსანმა და
გვირგვინოსანმა მედროვემ გადაყარა მედლები და
ორდენები, მოიხსნა ჩინები და დამსხვრია თავის
თავზე მობრჭყვიალე გვირგვინი? არცერომა!

ეს იმიტომ, რომ პაოლო იაშვილები ადარ შე-
მოგვრჩა...

მაგრამ არის ვაჟა ეგრისელი!
მაგრამ არის მუხრან მაჭავარიანი!

მაგრამ არის შოთა ნიშნიანიძე!

მაგრამ არის ანა კალანდაძე!..

მუხრან მაჭავარიანს, შოთა ნიშნიანიძეს, ანა კა-
ლანდაძეს არა ორდენები და გვირგვინები, არამედ
საკუთარი სახელები ამშვენებენ.

ვაჟა ეგრისელი მათზე ათი-თხუთმეტი წლით
მაინც უმცროსია. ეს უფრო მიზეზი ალბათ იმისა,
რომ მას მკითხველის წინაშე ჯერ კიდევ წარდგენა
სჭირდება.

პოდა, ინებეთ, ბატონებო!
ახასიათებენ ვაჟა ეგრისელს:

პედაგოგი მიხეილ გიგიბერია –

„საკუთარი ხმა, საკუთარი ხედვა, საკუთარი
მიდგომა მოვლენისა თუ საგნისადმი, აი რა ახასია-
თებს“ ვაჟა ეგრისელს.



მწერალი ჯემსი კეპულაძე –

ვაჟა ეგრისელის პოეზიაში „პოეტური მინიატურები, ფეთქებადი მეტაფორები და სულის შემგრავი, ამაფორიაქებელი ქვეტექსტები, პოეტურრი გამოსახვის ხერხები და მისადაგებული რომ ვერსად იგრძნობთ ნაძალადევ განწყობას, მოდერნივით გატაცებას. პირიქით, იგი ცდილობს თავისი გულწრფელობით მინდობილად მიგიზიდოს, მიგენდოს, თავის სულში ღრმად ჩაგახედოს და სატევარივით მოქნეული ქართული მოგასმენინოს“ (წერილიდან „აისბერგების წყალქვეშა სამყარო“).

მწერალი ალექსანდრე ბოლქვაძე –

პოეტი ვაჟა ეგრისელი არის „სპეტაკი, კეთილშობილი, ამაღლებული, სხვისი ჭირისა და ლხინის გამზიარებელი. საწუთოზე ჩაფიქრებული, ოცნებით ზეციურ სამყაროში მოხეტიალე, ფიქრებით მშობლიურ მიწასთან მიჯაჭვული…“

ზის პოეტი „სიცოცხლის ბადში“ და სიყვარულის მარადისობას გალობს... გალობს აქამდე არსმენილი ხმით. ეს ხმა ქართველ მკითხველს ჯერ არ გაუთავისებია, არ შეუსისხლხოცებია... ეს ხმა ჯერ-ჯერობით მისთვის უცხოა, რადგან მისი სმენა გაფაციცებულია (შეჩვეულია) შედარებით უფრო ადვოლად აღსაქმელ (გაჭვირვალე) ჰანგებს, რომელსაც არ სჭირდება გონების დაძაბვა, „ტვინის ჭყლეტა“, ხოლო ვაჟა ეგრისელის ხმის (პოეზიის) სირთულეს, მისი ლირიკის ფილოსოფიურ სიდრმეს – გონების



თვალით უნდა ჩასწვდე, ჩაეძიო; ისე, ზერელე თვალის გადავლებით მისი უკიდეგანო სიდიადის ადქმა ყოვლად შეუძლებელია...

რუსთაველის, ვაჟას, გალაკტიონის შემდეგ არაა იოლი სიტყვა „ჭეშმარიტი პოეტი“, მაგრამ ვაჟა ეგრისელი თავისი განუმეორებელი ხმით, მართლაც ჭეშმარიტი პოეტია და ნამდვილად უკავია გამორჩეული ადგილი მრავალსაუკუნოვან ქართულ პოეზიაში“ (წერილიდან „უცხო ხმა“).

მწერალი ელგუჯა მერაბიშვილი: ვაჟა ეგრისელის საიხლისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი გადადგმულია ძველზე დაყრდნობით და არა მისი უარყოფით, ამიტომაც ერთი შეხედვით ვერ შენიშნავთ ტრადიციულ კედლებზე „დაშენების“ რაიმე კვალს, უნდა ჩაეძიო, ჩაუდრმავდე.

პოეტი მურად ჭოლოპავა: „ვაჟა ეგრისელის მეტაფორული პიროვნება, ჩუქურთმასავითაა გამოკვეთილი ქართულ პოეზიაში“.

ამით შეიძლებოდა დაგვემთავრებინა ვაჟა ეგრისელისადმი მიძღვნილი ლიტერატურის მიმოხილვა, მაგრამ იგი სრული არ იქნება, თუ არ მოვიტანეთ ამოკრეფილი სტრიქონები მაინც ქართველი პოეტების მიერ მისადმი მიძღვნილი ლექსებიდან.

აი ზოგიერთი მათგანი:

ზაურ ბოლქვაძე:

„ჭეშმარიტ პოეტს, პატრიოტს, ერისკაცს –
ვაჟა ეგრისელს



წელს შეუსრულდა ერგასი
ერისთვის ბორგავს თერგისებრ
და მიპქრის მისი პეგასი –
ახალი ლაჟვარდებისკენ...

თამარ დაუშვილი:

„შენ ხარ მყინვარზე ამოსული ედელვასი,
ფოცხვრების მთებზე საკვირველი თამარის წყა-
რო...
შენ საქართველოს გიცდის გაისი
და მშობლიური სიმწვანით ხარობ...

განო ცინცაძე:

... სულ იბრწყინებ ვარსკვლავად,
განა მცირე კომეტად!
უსაყვარლეს რაინდად,
უპირველეს პოეტად...

მორის ფოცხიშვილი:

... ვიცი, შეაგდებ ენგურში ულაყს,
დედა-სამშობლოს ტკივილი გრევს,
ძმას ხელს გაუწვდი ყოველთვის ძმურად,
სანთელ-საქმევლად მიუხვალ მრევლს...

გარდა ქართველი პოეტებისა, ვაჟა ეგრისელს
ლექსები მიუძღვნეს: მონდოლთა პოეტმა ცოოდოლ
ტუბაჟტინმა, ჩუგაშმა გასილ ენდიპმა, თათარმა



ატილლა სადიკოვმა, რუსმა პოეტებმა ვლადიმერ შლიონსკიმ და იური უგაროვმა, უკრაინელმა ანდრეი კრიჟანოვსკიმ, უზბექმა ბახიჯან კანაპიანოვმა, ინგუშმა ვალერი აუშევმა, ლატვიელმა ველლო ლატიკმა და სხვებმა...

თავი მერვე

მცხეთაც, არმაზიც, სეუტიცხოველიც

პირველი ნაბიჯები პოეზიაში ვაჟა ეგრისევლს მისმა სახელოვანმა ბიძამ, დედის ძმამ, პოეტმა ალიო მირცხულავამ (მაშაშვილმა) დაულოცა და უწინასწარმეტყველა, შენ შენს სიტყვას იტყვი პოეზიაშიო. ბატონმა ალიომ იქნება დამოძღვრა თავისი დისტვილი და უთხრა, რომ რუსთაველმა, დანტემ, შექსპირმა, სერვანტესმა, პუშკინმა უდიდესი ნახტომისებური ცვლილებები მოახდინეს მწერლობაში იმის წყალობით, რომ ფესვები ეროვნულ ტრადიციებში პქონდათ გადგმული, მაგრამ, ამასი იქნებ ცხოვრებისეულმა გამოცდილებამაც დაარწმუნა, პოეტი, – მწერლობაში რაიმეს რომ მიაღწიო, დრმად განსწავლული უნდა იყო. ალექსანდრე პუშკინი, კონსტანტინე გამსახურდია, ტიციან ტაბიძე დაუინებით სწავლობდნენ წინა ეპოქათა მწერლობას, თარგმნიდნენ მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსებს, თვეობით იჯდნენ ბიბლიოთეკებში და ჩაჰკირკიტებდნენ კაცობრიობის უდიდეს მოაზროვნეთა წიგნებს, თუ თავის შემოქმედებაში



სხვისას რაიმეს აიღებდნენ, მას ეროვნული ტრადი-
ციების ქურაში გამოადნობდნენ ხოლმე.

მაშინ როდესაც სახელგანთქმული ბიძა მოძ-
ლვრავდა, ვაჟა ეგრისელი მშობლიური ხორგიდან
ფრთხებს ასაფრენად იწვევდა.

მხრებზე ფრთხები დიდა ოჯახმა გამოასხა.

მამა – ევგენი დოლბაია ძირძველი ქართული
ოჯახიდან იყო, სადაც თერთმეტი და-ძმანი აღიზარ-
დნენ.

დედა – ფეოდოსია მირცხულავა ასევე დიდი
ქართული ტრადიციების მქონე მრავალშვილთან
ოჯახში აღიზარდა. ცამეტი და-ძმანი დაფრთიანდნენ
ამ ოჯახში.

ისინი ორთავენი ხორგის მკვიდრნი იყვნენ.

თავადაც დიდი ოჯახი შექმნეს სოფელ ხორგა-
ში ფეოდოსიამ და ევგენმა.

ამ ოჯახის მეცხრე შვილი – ვაჟა დოლბაია –
მაშინ დაიბადა, როცა გერმანიასთან ომის დაწყებას
დღეები-და აკლდა, 1941 წლის 15 მაისს.

„თქმულებებითა და ლეგენდებით დახუნძლული
კოლხეთის ერთი, პატარა სოფელიაო“ ჩემ ხორგა,
ამბობს პოეტი ერთ-ერთ ავტობიიოგრაფიულ ჩანა-
წერში.

„ჩემი მშობლიური ხორგა... ტრიფოლიატით კოხ-
ტად შემოდობილი ჩემი ეზო და მწვანე კოინდარზე
მტრედივით დამჯდარი მეგრული ოდა...“ იგონებს იგი
სხვა ჩანაწერში.



მამას იქაური სკოლის ხუთი „ადელენიის“ განათლება პქონდა მიღებული და საკმაოდ წიგნიერი გლეხი იყო.

დედას ფოთის გიმნაზია პქონდა დამთავრებული და, არა მარტო სახელგანთქმული პოეტის და, არამედ თავადაც სულითა და ხორცით პოეტი იყო, ზეპირად იცოდა „გეფხისტეაოსანი“ და უთვალავი ქართული და რუსული ლექსი. თავის თავზე მოკრძალებულად ამბობდა:

„გლეხის შვილი ვარ, უბრალო
და არა ვინმე თავადის,
ლექსო, გამოთქმად შეგბედე,
რარიგად გაგითამამდი!“

ეს პოეტის დედის ერთ-ერთი იმ ლექსთაგანია, რომლებსაც ხანდახან, ჩუმად, თავისთვის იწერდა რველში და არავის უმხელდა.

დედ-მამის პოეზიისადმი სიყვარული ოჯახში ისეთ შემოქმედებით ატმოსფეროს პქმნიდა, რომ ყველა მისი წევრი ლექსებსა წერდა. ოდის კედლები და კარტანჯრები სულ ლექსებით იყო აჭრელებლი.

ოჯახის სულ უმცროს წევრს გამორჩეული ნიჭი დაჰყვა.

ოჯახში გამეფებულ ატმოსფეროსა და შტამო-მავლებითს მონაცემებს იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ მაშინ საქართველოსი ჯეროვან პატივში იყო ძირძველი ბრძნული შეხედულება, „დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახეო“ და პოეტის უკავლავი სიტყვე-



ბი, „სადაც ვშობილვარ გავზრდილვარო“. ახლა ჩვენს სათაყვანებელ მამულში სულ სხვა რამ ხდება: კაცი სატანას რომ უზის გვერდით, ივანე ნათლის-მცემელი ვარო, ამბობს, როცა ამ თავის ნათქვაშს უჯერებენ!

ღმერთმა იქნებ ინებოს და აადორძინოს საქართველოში ის საღი აზროვნება, რომელიც ასე უღმერთოდ ითელება...

მწერალ ლევან ჩოხელს წერილში „პოეტის დედა“, რომელიც ამ ათი წლის წინათ დაიბეჭდა, მოჰყავს ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება, გვარი „მირცხულავა“ ვარსკვლავთმრიცხველს ნიშნავსო. ამას გულისხმობდა, ალბათ, პოეტის დედა, როცა წერდა:

პაპა მეტყოდა ვარსკვლავთმრიცხველო,
ლეგენდას მეგრულ კერასთან მჯდარი,
მიწა რად იყო ცის გამკიცხველი,
ვის სდარაჯობდა მნათობთა ჯარი.

მირცხულვათა გვარმა ბევრი სახელოვანი მამული შვილი მისცა სამსობლოს. ბევრჯერ ურჩია სახელმოხევჭილმა ძმამ ფეიდოსიას, მიეციო შენი ლექსები დასაბეჭდად. უარი თქვა ამაზე ქალბატონმა ფეიდოსიამ. ის იმითაც კმაყოფილი იყო, რომ ძმა პყავდა სახელგანთქმული პოეტი და, რომ მის შვილსაც ერმა პოეტის სახელი მიანიჭა:

დღები ჩუმად გადიან,
შევხარი ყოველ ალიონს,
იქნებ მეწვიონ ადრიან



ჩემი ვაჟა და ალიო.
ხშირ-ხშირად ფრთებით გაზეთს
მოვლენ იმათი ლექსები,
გულში ვიხუტებ მოხუცი,
ვკოცნი და ვეალერსები.

ამ ლექსს პოეტის დედა მაშინ წერდა, როცა
მისმა შვილმა ვაჟ ეგრისელმა მოსკოვში წითელ
დიპლომზე დაამთავრა მსოფლიო ლიტერატურის ინ-
სტიტუტი და მისი ლექსები რამდენიმე წიგნად იყო
გამოცემული. ამ დროისათვის მისი ლექსები თარ-
გმნილი იყო რუსულ, მონღოლურ, უკრაინულ, აზერ-
ბაიჯანულ, სომხურ და სხვა ხალხთა ენებზე.

დაწერილი იყო პოეტის ბიოგრაფიის საკმაოდ
მნიშვნელოვანი მონაკვეთიც.

ამ ბიოგრაფიაში იყო უკვე მოქცეული ომისა და
ომისშემდგომი პირველი წლების დუხშირი ცხოვრე-
ბის სურათები, როცა პატარა ბიჭი ერთადერთ პე-
რანგს შეჰყურებდა ნაღვლიანი თვალებით და ის პე-
რანგიც თოკზე იყო გაფენილი გასაშრობად, როცა
ფეხსაცმლის საყიდელი ფული რომ ეშოვნა, პატარა
ბიჭს ზურგით ძალიან შორს, ხობში ორი ფუთი სი-
მინდი მიჰქონდა გასაყიდად...

ჯერ კიდევ სკოლის მერხეზე იჯდა, როცა მისი
ლექსები იბეჭდებოდა ხობის რაიონულ და ფოთის
საქალაქო გაზეთებში.

ასე მიდიოდა ბაგშვობისა და ყრმობის წლები
დათაგბრივ ეგრისში, ზღაპრულ ფაზისისა და პონ-



ტოს ნაპირებზე... სადაც ხობისწყალი ტანს ქალწულივით მიარწევდა, ხოლო თმადათოვლილი აკაციები ომიდან შვილის მომლოდინე დედებივით იდგნენ დამბაზე. ფაზისისა და პონტოს ტალღების ჩოჩქოლსი, ფიქრებში წასულს შვილებდახოცილი მედვას თავგანწირული კივილი და ოქროს ვერძების ავისმომასწავებელი ბლავილი ჩაესმოდა უურში... ცაში უცებ გამკრთალი ელვა კოლხი წინაპრების მიერ ბნელ წარსულიდან ნატყორცნი შუბი ჰგონებია, ზოგჯერ კი იგივე ელვა მზის შვილის – აიერის ცეცხლის ხარების ზურგზე მოქნეულ იაზონის სახრედ მოსჩვენებია... გაზაფხულზე აფეთქებული ატმებისა და ალუჩების ამბრი გარდასულ დროთა ქარების მიერ ათასწლეულთა იქიდან მოტანილ ჰეკატეს ბარის სურნელებად ჩაუთვლია... აფრების ტკაცუნს გაუცოცხლებია მისი შორეული ზღვაოსანი წინაპრები: კოლხები, დიათხები, აფსინები, ლაზები, მოსინიკები, მარები და მაკრონები... უგრისის მიუვალი ციხის ქონგურებზე დაუნახია მთვარისფარიანი და მზისშუბოსანი აჩრდილები გუბაზ მეფის მეციხოვნებისა... უულევთან და ანაკლიასთან ზღვის მოქცევისას ყურსალარების მიერ მიტაცებული ბავშვების ტირილი ჩასწვდომია სმენას მისას, მოქცევისას კი – დედათა მათთა გოდება... ზღვაში ჩაძირული დიოსქერია მისი მამულის მოგლეჯილ ნაწილად და ხალხის მოურჩენელ ტკივილად აუქვამს... მარად თან ახლდნენ დას თავს



დასტრიალებდნენ დიდი ეთნარქი – ლეგენდარული
ეგროსი და გმირი ცოტნე დადიანი...¹

და დადგა ჟამი განშორებისა.

ემაწვილს ხორგისა და ლეგენდების თვალსაწი-
ერიდან დანახული სამყარო აღარ აკმაყოფილებდა...

ურჩევდა მამა, დარჩიო ხორგაში, შვილო,
ოჯახს მოეკიდე, ხელი მეურნეობას მოპკიდეო, მე
ხანში შესული კაცი ვარ და, თუ არა შენ, აბა ვინ
უნდა შემცვალოსო!

დედას კი ხოფლისათვის არ ემედებოდა წამოფ-
რთიანებული შვილი.

მაგრამ სახსარი?

სკოლის დამთავრებისთანავე ტყეში წავიდა სა-
მუშაოდ და მთელი ზაფხული იქ გაატარა. ათეულო-
ბით საჯენი შეშა მოჭრა, სახელმწიფოს დამამზადე-
ბელ პუნქტს ჩააბარა და თბილისში წამოსასვლელი
ფული დააგროვა.

თბილისის უნივერსიტეტში, ფილოლოგიურ ფა-
კულტეტზე, მისაღებ გამოცემზე გავიდა.

ხელები რატომა გაქვს დაკაწრული და დაბერ-
ბრილიო? – არასტანდარტული კითხვა მისცა პრო-
ფესორმა.

¹ ბოლო აბზაცში მოტანილი გვაქვს გამოთქმები პოეტის
ჩანაწერებიდან.



შხოლოდ ამ კითხვაზე გასცა არასწორი პასუნი: კატამ დამპორტნაო, სხვა შეკითხვებზე კი ჩინებულად უპასუხა.

მაინც არ გამოუვიდა ამჯერად სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა. საარსებო სახსარი უნდა ჰქონებოდა საკუთარი, ამიტომ კავშირგაბმულობის საწარმოების სისტემაში დაიწყო შრომა ელექტორსამონტაჟო სამუშაოებზე. ამავე სისტემის საინჟინრო უმაღლესი სასწავლებელი დაამთავრა და ინჟინრად დაწინაურება.

უნივერსიტეტი მაინც მისი მოწოდება იყო და ისევ მას დაუბრუნდა.

პოტე მელაშვილი

მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი
ნაწევები წიგნიდან – პოეზიის
სამყაროში სამოგზაუროდ

გაგრძელება შემდეგ ტომში



მთვარის ტაძარი

ცის სიჩუმეში მსხდარი ღრუბლები,
თეთრი წვერებით –
ღმერთებს ბაძავენ

(შორს,
სადღაც დილას ჭედავს მზის გრდემლი)
და ელავს მთვარის თეთრი ტაძარი,
სადაც ვარსკვლავთა
ლოცულობს მრევლი.

1975

პირველი

გზაზე ათასწლეულთა
ბევრი გადაემტერა,
მაგრამ ზეცა ქართული
ვითა ადრე კვეტერას*,
თავზე ქუდად ახურავს!
და შაჲ-აბასს
დედასაც,
კვლავ უხსენებს „კახურად“.

1965

* კვეტერა – ციხე-ქალაქი კახეთში (X ს.)



გოლგოთი

გაჩენის დღიდან პონტოს ზღვისკარად,
იქ,
სადაც მიწა ლაუგარდოვან
ცას უერთდება –
სახლობდნენ კოლხები, ვით მზის შვილები
და ჯოგი ჰყავდათ
ოქროს ვერძების.
აი, ამიტომ ძველი ბერძნები,
მარტო კოლხების ღმერთებს
კი არა,
თვითონ კოლხებსაც თვლიდნენ
ღმერთებად.

1969



პოპორინა

ვით ბიბლიიდან –

ძველი კოლხობით თავს იწონებ
და თან ამაყობ

და შენი სიტყვა ჰგავს კოკორინა*,

ქართულის ზღვაში –

აქ, რომ ჩაყვინთავს,

და შოორ-წარსულში თავს რომ

ამოყოფს!

1979

* კოკორინა – იხვის ოჯახის პატარა, იშვიათი ფრინველია, წყალში რომ ჩაყვინთავს და 60-70 მეტრის მოშორებულ ადგილზე ამოყვინთავს.



ზამთარი მთაში

მთები დგანან, ვით მეფები,
ქედები –
მეფის ნაცვალები,
ბორცვები –
ერთგული ყრმები.
ფიფქებით ევსება ცას თვალები.
ბუხარი ზამთრის ზღაპარს ჰყვება,
ნაკვერჩხლები –
ქალწულებივით ტკარცალებენ.

1964



დაისიდან – აისამღვევე

მნათთა ნათლით ივსება
ცის ქვევრები
დაისიდან –
აისამღვევე! –
ივსებიან და იცლებიან.
შენი „ფსალმუნები“ –
ურა კვიცებია,
კოლხეთის წარსულს რომ
ჭიხვინებენ...

1967



* * *

რომ უნთია გულში ცეცხლი,
წვავს და ბუგავს
განა ბუხარს!
და ან შხამით კვდება
გველი?!
ელგამ მეხის დანაქუხარს –
გაკვრით მოაწერა ხელი.

1964



მზე

მზე,

ცის ოქროს ფალოსია*,
ქაოსიდან ამოსული –
ყველაფერს რომ აორსულებს
და ჩნდებიან გარსკვლავები,
მთები...
ზღვები...
ზაფხულები...
ღმერთები და ტიტანები...
თვალით ჯერ არნახულები.

1960

* ფალოსი (ბერძნ.) – მამაკაცის სასქესო ორგანო, როგორც ბუნების მწარმოებლური ძალის სიმბოლოს გამოსახულება, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ძველი ხალხები (ფალოსის კულტი).

შენი ქართლი,
შენი კახეთი

ყველა შენია —

სამოთხეა თუ ჯოჯოხეთი,
აღმოსავლეთი —

შენი ქართლი,

შენი კახეთი!

ხოლო დასავლით — შენი კოლხეთი,
ძმაა უფროსი!..

სხვა ქვეყანაა,

სხვა სიგრცეა —

გადასახედი!

1964



უცხოგის მაიტაფია

ვითა მეუფე და მწიგნობარი
მნათობებს ვკითხულობდი
ანბანივით.
და... ბოლოს მშობლიურ მიწას
მიმაბარეს!
ქართვლის ცის ქალწული
ვარსკვლავების
სპეტაკი ცრემლებით განბანილი.

2019



ჯვარცმა,
ცხოველი

ათასწლეულთა რწმენის გზას მისდევ...
და სხვათა ნათქვამს
არ იძეორებს:
ჯვარზე არ ეცვათ გოლგოთაზე
იესო ქრისტე,
ჯორდანო ბრუნო ცეცხლზე ცოცხლად
რომ არ დაეჭვათ,
არ იქნებოდა არცერთი და...
აღარც მეორე!!!

1962



ანდერძისმაგბარი

ქართული სიტყვის სპასალარი
და ამირბარი,

ვით ავთანდილი,

ჩემს სპას გიბარებთ:

როცა საფლავთან

ხელსმკრავს მაცილი,

მაშინ თქვენ –

„შავლეგოთი*“ გამაცილეთ!

2020

* 1989 წლის 9 აპრილს მთავრობის სახლის წინ გაართულდ მრავალათასიან მიტინგზე მერაბ ქოსტავამ ვაჟა ეგრისელს „შავლეგოს“ წაკითხვის შემდეგ ქართული პოეზიის შავლეგო უწოდა.



ატლანტებს და ტიტანებს

ოქროს პირამიდებად,
ატლანტებს და
ტიტანებს
სურდათ მეცხრე ცის თაღზე
დედამიწის ატანა,
მაგრამ ვერ აიტანეს!!!

1966



* * *

წვიმდა...

უცებ გადაიღო!
და გამოჩნდა მთვარის გუბე.
მერე ლურჯად მობიბინე
ცის მინდორი –
ვარსკვლავებმა გადაბუგეს.

1967



გათხვება

მზის მოვანებას ბდავის ბოსელი,
ჩუმად იხსნება
ცისკრის კარები.
ტალღები ნაპირს კვლავ უურჩება.
ცას ვარსკვლავების
ნაიარები,
აღარ იქნა და
აღარ ურჩება!

1976




* * *

სასაფლაოზე სანთელს რომ ვანთებთ,
რომელიც ჩუმად დნება
და იწვის!

თქვენ თუ გგონიათ ამქვეყნად ქრება!
არა,

ცად ააქეს უფალთან ხსოგნა
მიცვალებულის და სული მიწის.

2019



ზამთარი

სცივათ მთიებს და ჩუმად,
უსხედან მთვარის კერას,
ირხევა დამის ტოტი...
და, ვით ბაბუაწვერა,
ნიაგს ხმა მოაქვს
ჭოტის!

1968



ცა

სულყველაფერი იცის ცამ:

თოვლის,

წვიმის და

ნისლების,

რომლებსაც ქარი მოდენის.

განგის,

ნიღოსის,

ოდერის,

მისისიპის და მისურის

მეცხრე ცის თადზე მისულის,

ასე წლის მერეც მიმსვლელის.

.....

სულყველაფერი იცის ცამ.

1960

მთავარი

მითიდან თუ ჭიუხიდან
აგსულ ბაყბაყის ისმის
ლრიალი,
ალბათ მოკვდავის ხორცი მოშივდა
შორს...
მთიდან თოვლის
შუქი გამოკრთის,
ვით მიტოვებულ დევის კოშკიდან.

1983



აბათა პრისტი

სამართლის და სიმართლის

მძებნელი ხარ,

ვით ქრისტე!

(რადგან ვალი გედო ღვთის) –

საიდანლაც მოისმის

ხმა –

აგათა ქრისტის* –

„დეტექტივის დედოფლის“.

1961

* აგათა ქრისტი – ინგლისელი მწერალი.



03ლ0ს0

არ ჩანდა მთვარის ნატისუსალი
და ცეცხლს აფრქვევდა მზე –
ცის ბუხარი.
ყურჩამოყრილი იდგა სამკალი.
მებძა დასავლით გადიმქუხარა,
ელვამ კი ცაზე –
გადიკანკალა.

1960



კოლეგიას წარსულს – ხარ მიჯაჭვული

რადგან ღამიდან მზეს ამოჰყევი,
დახვდი მასპინძლად მიდიელებს,
ხეთებს,
აქაველო!
მერე დღეებმა და ბედისწერამ
კოლხთა დიდ წარსულს
მიგაჯაჭვეს და
მიგაქვავეს!

1960



შემოღვევა

ფოთოლთა ქარვის მონეტებს,
ახლა მიწაზე რომ ყრია –
ოდიშს,
ფშავსა თუ
ახმეტას –
ჩაუქროლებს ვით ალალი,
არყოფნის ნიავ-ქარი, და
ერთიან აჰგვის...
ახვეტავს!

1976



მარსი,
გევორგ

მილიონი სამოცით...

შორს, რომ არის მერე რა!

(მათ უფალი იწამეს!)

და მარსმა და ვენერამ,

კარგად უწყის –

რა ხდება!

ცოდვილ დედამიწაზე.

1971



ცა,
დედამიწა

რაღაც დიდის მოლოდინში
ნისლებში რომ სევდად იწვა –
ზღვა –
ქარიშხლის ამყოლთა!

ცას კი,
მაგრამ დედამიწას,
არსთაგანმრიგე –
არასოდეს არ ყოლია!

1977



* * *

წეროებივით ყელგაწვდილები,
სადღაც შორეთს მიმავალი
დღეები წალიკ-წალიკად,
რა დღეს და რა ხვალ
სამყაროს
სულ ერთიანად წალეპაგა!

1964



გაზაფხული მთაში

მხრები შეუდგამო ცისთვის მწვერვალებს
ამაღლებულან მთები ქართული
და გაზაფხულის ფერი
ედებათ!
თეთრი ქარების ფრთების ფათქუნით,
სადღაც მიფრენენ
მოქათქათე დრუბლის
გმდები.

1972



მთვარე – ლელვის ფოთოლი

(ვარიანტი)

ვარსკვლავებით ცა ისეა

გაჭედილი,

არჩანს ფეხის დასადგამი.

(ზამთარია...)

ალბათ მოთოვს!)

ელვა გამოაჩენს წამით,

სადღაც ბნელში –

მზის ცხელ ფალოსს,

მაგრამ დამე, ვით ადამი,

აიფარებს მოვარეს,

როგორც ლელვის ფოთოლს.

1958



სალამური

შვიდგზის დაკოდილი გულით,
სევდა დააქვს –
ცის და მიწის.

სალამურმა სიმღერასთან ერთად,
თურმე –
ცრემლისმღვრელი
ტირილი და კვნესა იცის...


1979



გააღმრი

ღვთისშვილი ბერი ბაადური
ხელში ცეცხლ-ნავთის
კოჭობით,
ელვის ცხრაწნული მათრახით,
(ვით შვენის კოლხს და
აქაველს!)
ლეგენდის გზაზე მიდის და
ბედის რაშს –
მიაქავებს.

1961



მეღას კოლხეთი

შოორეული წარსულიდან:

ან-მარეს¹ და აიეტის²

რეა-კიბელას³ და კირკეს⁴

ხმები ისმის ხმაში მეხის:

— რომ მედეას კოლხეთია —

საქართველოს მესამირკვლე.

1964

¹ ან-მარე — (ცის კაცი) კოლხეთ-ქიმეთის (ეგვიპტე, მითიური მეფე (5185-5120 წწ.)

² აიეტი — კოლხეთის მითიური ხელმწიფე (ძვ. წ. აღ. XIV-XIII სს.)

³ რეა — ლმერთთა და პაცთა დედა

⁴ კირკე — აიეტის და.

პითლზი

პრეისტორიიდან გადმოსული,
შენი „ფსალმუნები“ –
შუქია ნეონის,
დედამიწას და ცას გამყვირალი...
ან „ბითლზია“
ჯონ ლენონის*,
რომელიც სამყაროს აყირავებს!

2020

* ჯონ ლენონი – ანსაბლ „ბითლზიას“ დამფუძნებელი,
გენიალური მუსიკოსი (1940-1980)



დღის პრეზენტი

უამს მიმწერისას –

ჩუმად და ფრთხილად,

დღემ საყელოში ჩავლო ხელი

მზეს და... ატარა მთელი დამე

სადღაც აღსავლით

და ცისკრისას –

გადასცა დილას!

1969



0 დიგნა და პურანული

„ერებეთი“,

„მერებეთი“,

„ოდოია“ და „რანუნი“,

– ეს კოლხური სიმღერები,

ჯერ,

ჰე, როდის ევბეაზე¹,

მოისმოდა ნაპირებზე –

იდიგნას² და ბურანუნის³.

1960

¹ ევბეა – კუნძული საბერძნეთში

² იდიგნა – ტიგრი (ტიგროსი)

³ ბურანუნი – ევფრატი

მზის შვილი

მზის შვილი ხარ და...

მზის შვილის

სიტყვა ცეცხლის მომდებია.

და კით პოეტს

გწყალობს ღმერთი.

მთელი შენი პოეზია,

ზარის ჩამოკვრაა ერთი,

რომლის ირგვლივ წრეებად და

სახეებად –

პლანეტები გროვდებიან.

1992



დიდგორი,
პრანისი

მიიღია ცხრაჯერ ასი წელიწადი,
საქართველოს „დიდგორი“ რომ
გამარჯვების დროშად უჩანს!
ხოლო თბილისს,
„კრწანისი“ კი,
ვით ჭრილობა,
ოთხასი წლის მერყეო...
მაინც ვერ მოურჩა!!!

1989



მესი, მესი

სადღაც ღრუბლებში მოისმა
ხმაური,
არავინ უწყის რა მოხდა,
ღმერთმანი!
და ანდა ერთმანეთს
რატომ წაეკიდნებ!
მეხმა კი ელვას ამოკრა
ჩითლაყი
და მიახეთქა წყვდიადის ცის კიდეს.

1954



მარჯნის რიცხვები

ვითა მლოცველი შესციცინებ
ცას და ვარსკვლავებს,
(მთელი სამყარო გიდგას
თვალებში),
ფიქრობ: – უშენოდ როგორ იქნებიან?!

... შენი “ფსალმუნები” –
მარჯნის რიცხებია,
პოეზიის უსამანო ოკეანეში.

2017



სამებრელოს მეოთხე დალაშვიტა

ადრეც წვავდნენ...

მაგრამ ახლა,

ორი კოლხის ოდაბადე*,

“ქართველთაგან” მეტ იწვის:

წუხს სვე ორი იოანეს –

მინჩხისა და

პეტრიწის.

1993

* ოდაბადე (მეგრ.) – დაბადების ადგილი.



პლუტონის გინადარი

ქაოსიდან ამოსულმა
 მზემ, რომ მოიღერა ყელი,
 სწორედ მაშინ მის ოქროს სხივს
 ჩემს კოლხეთში ჩამოვყევი,
 /უკეთესს რას ვინატრებდი!
 და მაშინვე გამახსენდა:
 მილიონი წლების იქით,
 პლუტონზე* რომ ვბინადრობდი.

1971

* პლუტონი – მზისგან 6 მილიარდი კმ-თაა
 დაშორებული.



მდიდარი, ღარიბი

საქმის კაცებს არ ჩვევიათ ლაპარაკი,
უსაქმურებს ენები აქვთ ადლიანი,
მათი სიტყვა ზღაპარია და
არაკი,
მდიდრისა რა მოგახსენოთ,
ღარიბი და ღატაკია
მადლიანი.

1991



რვა პლანეტა ჩახჩახებს...

შენი ღვიძლი რვა და-მმა –

იყვნენ...

აღარ არიან!

(შენ თავს მზის ღმერთს უტოლებ!)

შენ მეცხრე ხარ...

ვით პლანეტა პლუტონი.

1996



ჩემი ზღვა

პატარა კოლხური ნავებით
და მოქათქათე ორსული
აფრებით.
სულ ძველი...
სულ შარშანწინდელი...
არც შავი და აღარც წითელი,
ჩემი ზღვა,
სხვა ზღვაა...
და მეტი არაფერი.

2015

100-ტომი

პოეზიის ცის თაღზე
მოჰკავს ბომბის გასკდომას –
(უშქარი და
ურიცხვი,
ვითა ცაში მურიცხი*).
“კოლხური ფსალმუნები” –
დასტამბული ასტომად.

2018

* მურიცხი (მეგრ.) – ვარსკვლავი.



ჩამავალ მზის “ბიჩოკით”,
შევცქერი ზღვას,
ნაპირთან,
წამოწოლილს ინახად!
ვინც მძვინვარე ქარიშხალს,
გულში ჩუმად ინახავს.

1964



ასტეროიდს, მეტეოროიდს და...

სიყვარულით პგავხარ შეშლილს,
და კრეფ ზეცის კაბადონზე
დაყრილ ოქროს მონეტებს
და ავანებ სტრიქონებში –
ასტეროიდს,
შეტეორიდს
და... ცეცხლოვან კომეტებს.

1962



ათასწლეულების მერეც,
მზე გატყვია შუბლზე დამდად,
ქართულ პოეზიის ზეგსის.
ცის ბინადარს,
საიდანდაც,
შენი ზღვების გმინვა გეხმის...

1969



ქრისტის მხედარი პოლიტიკან

კვლავ შესციცინებ მზესა და მთვარეს,
ვითარცა ციურ ჩანგსა
და ებანს.

და სანთელს უნთებ კოლხ ქრისტეს
მხედარს.

ადრე მის ცას რომ გარსკვლავი
ება,

დღეს მზედ ქცეულა
და ყველა ხედავს.

2015



ისე, როგორც იოგი

მიღმა ათასწლეულის,
ისე, როგორც იობი,
იღოცებ და მეგზურად,
რწმენას მუდამ იახლებ,
როგორც კაცობრიობის,
პირველყოფილ სინორჩეს
და სიძველის სიახლეს.

2018



“კოლეჯი ფსალმუნების”

ოცდაათხომეული


შვიდგზის ლოცვით დაქანცულმა,
მე “კოლეჯი ფსალმუნები”
ღამით ვწერე მეტი წილი –
იოანე მინჩხივით და
იოანე პეტრიწივით.

2017



სოფლის შარა-ბილიკებით,
ჯოხით ხელში და
კითხვით,
მოდის ჟამი ადამის ძის
მოკითხვის და
განკითხვის.

1971



კლანეთებს და სცეროებს

პოეტ!

მზის ჩაჩქიანი,
შენი ლამაზი დღეები,
მოჰვავდნენ სპარტელ მეომრებს,
და... ნათქვამს კვლავ იმეორებ:
რომ ძილს უფრთხობდნენ
სულ უცნობ –
პლანეტებსა და სფეროებს...

1979



ლომისობა

ნიავს წარსულის ბილიკით

ხმა მოაქვს ქსნის და

არაგვის –

მლოცველთ არ უჩანს ბოლო.

და ისმის ჩუმი ჩურჩული:

– მე, მთისკაცი ვარ!

არასდროს ყმა არ ვყოფილვარ

არავის,

ხატის ყმა ვიყავ მხოლოდ!

1996



၁၂၁၀၁ ဧ ၁ ၁၆၃၇၀

လျော်စွဲနှင့် တွေ့ မိတ်စွဲနှင့်

မြတ်စွဲလွှာ၊ ရောက်ခွဲ သံပွဲရှိ၊

အရ ဦးနာ၊ အလာရ ဦးခွဲ...
လျော်စွဲနှင့် မြတ်စွဲနှင့်

ဖျောက်ဆွဲ လွှာမြတ်စွဲနှင့်

“၁၂၁၀၁” နှင့် “၁၂၁၀၁”.


1963



0სეგ პავპასიონი

მეცხრე ციდან ჩამოსული,
როცა ღამე თვალს მილულავს,
დაღლილს,
ვარსკვლავებთან ბრძოლით.
მთვარის შუქზე დაემჩნევა თოვლი
წყლულად,
პავპასიონს –
ათასწლობით,
მხართემოზე წამოწოლილს.

1961



პოეტის ასტომეული

კოლხეთის დიდ წარსულივით –
გქონდა გულის ღია კარი.
ვარსკვლავების ზარი რეკე...
მერე,
უცებ მოვარდი და...
ცა და მიწა წა-ცა-ლეკე.

2018



ლაზი, პელაზგი

ლაზი იყავ...

გიმდეროდა პონტო “ნანას”,

კოლხური მზით მოსილი.

შრიალებდა ოქროს ყანა

და იმკიდი ოქროს თავთავს,

პელაზგ პომეროსივით.

2018

ရုံမောင်

မြတ်စွာ ရှုံမောင် မျှတော်မာရွှေ့ပို့၊
ဘုံ၊
မြန်မာ အကြောင်း အသေခြား လျော့လျော့
အရ ဂျော်လျော်၊ တွော်လျော် မာရွှေ့ပို့ပို့
ထောက်လျော် မာရွှေ့၊ စိုက်လျော်၊
ဒါန်၊ ရှုံမောင် မျှမြတ်မာရွှေ့ပို့ပို့

1959



მარტის ღამე

იყო ღამე მოწყენით,
თითქოს არ ეკუთვნოდა,
სივრცეებს და თავისთავს.
ელვა ნათელს როკავდა,
სანამ მეხი მოკლავდა!
ვარსკვლავები უკრავდნენ
მთვარის თარს.

1958



შავი ჰიტი

ჭირზე უარესია,
რაც “ოვსმა” და
“აფსუამ”,

საქართველოს დამართა,

და...

შენ სამართალმცოდნე*,
სხვაგან ეძებ სამართალს!!!

1993

* გაქა ეგრისელი განათლებით იურისტია, იურიდიკულ
მეცნიერებათა საპატიო დოქტორი, პროფესორი.



მზის პეჟეზი

ჩემს კოლხურ ცას აკაკივით –
შუბლმაღალს და მუდამ
ნათელს,
მასთან ერთად პონტოს,
ფაზისს,
მზის ბეჭედი მკერდზე აზის –
მითრიდატე პონტოვლის,
ანმარეს და აიეტის
გუბაზ მეფის და ფარტაზის
დიდი ქუჯი ეგრისელის,
წათეს,
ცოტნე დადიანის,
ლმერთგაც იოანე ლაზის.

1971

မာဝါဒ်ဆာ

မတွေ့ရအလို မာဝါဒ်ဆာ ဘရှုန္တတာ ၍

မောင်မြေပို ရာမို တာဂျီ တာဂျီ
ကိုယ်နောင်းပို့

တာလို့ ဘရှုန္တအိုလာဘရှုန္တတာ ၍

မောင်မြေပို ရာမို တာဂျီ
ကိုယ်နောင်းပို့

မတွေ့ရအလို မာဝါဒ်ဆာ ဘရှုန္တတာ ၍

1955



ვარსკვლავი

ისევ ისე, ვიმეორებ, ვითა იობს,
კვლავ გმართებს დვთის
ერთგულება,
მჯობნი ფლიდის,
რადგან ცაში მე ვარსკვლავი მეგულება,
მილიონზე,
მეტჯერაა მზეზე დიდი!

2018



“მებრძოლამცველები”

იუდას გზას მიჰყებით! –

“მეგრელთმცველებს”* კუყივი!
კოლხმა ბერმა ზებედემ,
როგორც ზურაბ ერისთავს,
“მოღალატე” უწოდა,
მეც, ოქვენ ასე შეგბედეთ!

2018

* “არის სურვილი პირდაპირი თუ შენიდბული ზრახვებისა სამეგრელოს ცალკე სახელმწიფოდ გამოყოფის თაობაზე”. ელდარ ნადირაძე – “ორიოდე სიტყვა” “ლობერატურული საქართველო”, 2018 წლის 6 აპრილი



ქართველის პროფილი

ცალ ხელში ხმალი ეჭირა,
ისე ხნავდა და თესავდა...
(ხარებს გუთანწი აბამდა),
აი, ესაა ქართველის
ანფასიცა და პროფილი.
არის და ასე ყოფილა:
სულ ბრძოლით გამოუვლია
გზა –
ათადან და ბაბადან.

1977



უსამანო ცა, ვით ეპლესია,
მაგსებს სხვა იდუმალებით,
(როდესაც შვიდგზის ვილოცებ.)
ვით ებგიპტე და
კოლხეთი,
ვით ფაზისი და
ნილოსი.

1973



ოიშრაზი

ფერს კარგავს “ირმის ნახტომი” და
“თქის რქა!”

დილას მამალი ყივის მესამედ.
მდვივარ ვარსკვლავთა ნაკვერჩხლებზე
შემომდგარ ცის ქვაბს –
ატყვია მთვარე –
მიმწვარ რძესავით.

1959



მრავალწერტილი...

წერე ისე, როგორც
სინორჩისას წერდი
და ადგილზე მძიმის,
ნუ დაუსვამ წერტილს,
ქარს კი არა, უფრო
მეტი მიაქვს ნიავს!
შენი “ფსალმუნები” –
მრავალწერტილია...

2017



თაბორს, ლორპას და ზიტმენს

მოსვლა რომ დამაგვიანდა,
თქვენ უჩემობას ნუ ითმენთ!
წელი გავიდა ერგასი,
რომ გიხმობთ მე დღე-ნიადაგ:
თაგორ,
ლორპავ და
უიტმენ!

1992



ცად ეყარა ოქროს პვერცხი,
სიმყუდროვე აფარებდა
დამის კალთას,
თუმცა ზოგჯერ ელგის მართვე
იწივლებდა.
და... მერე მზე ყვითელგულა
წიწილივით
ამოჰყავდა ვარსკვლავების
ნანისკარტალს.

2009



ეპთისელო! არ ხარ მარტო

გვერდით გიდგას “კოლხთა მოდგმა”,

ეგრისელო! –

არ ხარ მარტო.

/თუმც ზოგს “გონი სხვაგან ურბის”,

მიტომ მეფე დავითს ნატრობ,

მის “დიდგორს” და

“რუის-ურბნისს”.

1992



15 მაისი

მოწყვალე თვალით ცისკენ მზირალი,
გვ, საქართველოვ, ისევ ისე
ხარ ხელშეკრული,
მაგრამ სულ მალე შენს “ამაღლებას”,
მაისს თხუმებს –
შენს დაბადების –
დღეს – ვიზეიმებო მე და
მერკური*.

1989

* მერკური – უფლის ელჩი და მაცნე. ლირის გამომგონებელი.



ხილვა: პომავაში მცხეთაში

მოები იხურავენ ჩაჩქანს,
არაგვი კი კისრისტებით
ჩამორბის და ტალღებს ქვებზე,
ლესავს, ვითა “ბაწარაულს”.
და გადადის მტკვარი ყირას.
მცხეთასთან კი ვჭვრებ
პომპეუსს,
პოლხეთისპენ ქორებ მზირალს.

1965



მარჯვენაზე მწოლიარე
ზღვამ ქარიშხლის ფეხისხმაზე,
მხარი უცებ კვლავ იცვალა.
ცას დაედო ფერი ლილის.
მწუხრისას დღე მიიცვალა,
მიწა ისმენს ვარსკვლავების
წიგილ-კიგილს...

1993



ატლანტი, პლუთონი

ატლანტისა და მიღმა პლუტონის
მე,
ჩემი გენის ვეძებ
სათავეს...
და, ვით დიდგორი,
და ვით მარტყოფი,
გამარჯვებული
კვლავ მითვალთვალებს –
ჩემი ყოფნა და
ჩემი არყოფნა.

2017



თუთარჩელა

ელვა თითქოს მოცარტია

და გარსკვლავთა კლავიშებზე
აელვარებს გიჟ ხელებს.

მთვარე –

უსმენს აკაკივით,
სირინოზ დებს –
ოშხნელებს.

1980



საჭმისი და გრაალი

სიყვარულის გარეშე
ეს ლამაზი სამყარო,
აღარა დირს ჩირადაც.
სხვა ცეცხლმა და სხვა ალმა,
ისე, როგორც საწმისმა,
ისე, როგორც გრაალმა,
ბნელი გამიჩირადღნა!

1998



ვით მონადირის ხმაზე ქურციკი,

ისე

მეხს ელვა წამოუხდება

